№ 156, ივლისის 21, კვირა. 1866—1885 ივლისის 21, კვირა. № 156.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрозва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მ. განცხადებანი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელბოლება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

შემდეგი ნომერი გამოვა ივლისის 24

გამოვიდა 1-ლი №-რი საყოველ-კეირაო სალიტერატურო და მსატვრობითი გასეთის

თეატრი-სა

ცალკე ნომრები ისყიდება: თბილისში:—გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—ძძ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ფასი ექვ�სამი შაური.

ჩვენი დაუდეგრობა

თბილისი, ივლისის 21-ს.

მაგალითი შ..რგელი: ბაბძანდით ბულვარზედ, მოიკალათეთ ერთ-ერთს პირლია ხალხისთვის დამდგარ სკამეიკაზედ და ყოველს ქართველს, რომელიც კი თქვენს წინ გაიელის, ჰკითხეთ, ჯიბეში რამდენი ფული აქვს და რასაც გეტყვით, ჩასწერეთ. **ეჭვი** არ არის, რომ თუ გამელელ-გამომელელთ გულწრფელი პასუხი მოგიგეს, ასში ოთხმოც-და-ათს ჯიბე ცარიელი ექნება და დანარჩენს ათში—კარგი ქნებაა—თუ ერთი მაინც დაბეჯითებით იტყვის თავის ფულის რაოდენობას.

მ გალობითი შეიარე (ეს კი ნამდვილია და არა წარმოდგენილი). საქართველოს რომელსამე მაზრაში,—თუ გინდათ დაგისახელებთ რომელშიაც—თავად-აზნაურობის წინამძღოლი არდგენდა სიას მთელის მაზრის თავად აზნაურობისას და ერთ-ერთს მათგანს რომ ჰკითხა რამდენი შვილი გყავს, ან რა ჰქვიანთო,—უკანასკნელმა პირველ კითხვაზედ კი ადვილად მიუგო, მაგრამ სახელები დაავიწყდა და საკითხავად თავის ძმას მიჰმართა...

მაგალითი მესამე. ერთ-ერთს საადგილ-მამულო ბანკში ორს თავადიშვილს შუა შემდეგს ლაპარაკს მოვკარით ყური:

— ჯერ აქედამ არა გაგიტანია-რა?

— ღმერთმა დამიფაროს ვალისაგან.

— სულელი ყოფილხარ.

— როგორ თუ სულელი?!

— თუ ჭკუა გაქვთ, ჰზიდეთ ბანკებიდამ, რაც ძალი და ღონე გქონდეთ. როგორც პრიკაზისა გვაპატიეს, ისე ეს გვეპატიება. ვინც არ გაიტანს,—ბოლოს ინანებს...

ეს სამი მაგალითიც საკმარისია ჩვენის ცხოვრების სურათის დასახატავად: არცერთმა არ ვიცით, ჯიბეში რამდენი ფული გვაქვს, თუ კი გვაქვს; ზოგს შვილების სახელიც გვავიწყდება და ბევრნი ჭკუასა და გამჭრიახობას სხვის ხელის-შემაცქერლობაში და დაუდევრობაში ეხედავთ.

ერიჰაა! მოჰყვაო წილადობილას, იტყვის გულ-მოსული მკითხველი. მაშ რაღა ვიქნებით, თუ ანგარიშში თვალებს ჩავიწყალებთ; თუ მუდამ მოვალეებზედ ვიფიქრებთ, თუ დავტოვებთ ჩვენს უზრუნველობას, ჩვენს ლხინს, ჩვენს ქეიფს;—ლხინსა და ქეიფს უზომოს, უანგარიშოს...

მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ, ანუ უკედ ვსთქვათ მოისმინეთ სხვისაც და მერე ისე გასწყერით. უანგარიშო, უზრუნველი ცხოვრება ოდესმე შეგვეძლო, როცა ორ კომლში ერთს მარჯვენა წალის მოტანა ედო ვალად, მეორეს მარცხენასი და მესამეს მოკითხვის ბარათების ტარება. ეხლა სხვა დროა და თუ ჩვენს წილადობილას კი არა, თქვენს წილადობილას უანგარიშო ცხოვრების სიმშვენიერეზედ არ დავანებეთ თავი, მალე, ძალიან მალე მოგვესპობა საშუალება, თუ ჯერ არ მოგვსპობია, უზრუნველი ცხოვრებისაც და იქნება საზოგადოდ ცხოვრებისაც

უზრუნველობა ნიშანია მხოლოდ დაბალ ხარისხზედ დგომისა განათლების ასპარეზზედ და ვინც ამ დაბალ ხარისხს თავის იდეალად იხდის, იგი უნებურად თავის თავს ანდერძს უგებს.

ბანა მერე უზრუნველობა, უანგარიშობა აუცილებელი კუთვნილებაა მოქეიფე და მოლხინე ხალხისა? მიიხედ-მოიხედეთ და ისე მოგვიგეთ ამაზედ პასუხი: ფრანცუზები ჩვენზედ მხიარულნიც არიან, ჩვენზედ მოლხინენიც, ჩვენზედ ხუმარანიც, ჩვენზედ უდარდელნიც, როდესაც საჭიროა, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლამ ისინი ისეთი მოანგარიშე ხალხი გაჰხადა, რომ თავიანთ წლის შემოსავალ-გასავალს სანტიმობითაც კი ანგარიშობენ. ჩვენ? ჩვენ თუმნებსაც არას დავდეეთ, ვიდრე მამა-სისხლად აღებული ფული ჯიბეში გვითამაშებს,—თუნდა ვიცოდეთ, რომ ექვსს თვეზე მოვალე თავისას მოითხოვს და თუ არ მივეცით, უკანასკნელ სარჩო-საბადებელს გაგვიყიდის.

ჩვენს სიტყვებს, ვისაც ესმის, რასაც ვამბობთ, ცუდად არ ჩამოგვართმევს და კუწურახობის გავრცელების სურვილს არ დაგვწამებს. ჰარპაგონები და ძუნწი-ქარაპეტები ჩვენთვის უმეტესად საზიზღარნი არიან, ვიდრე მკითხველისათვის, მაგრამ ზომა უნდა ვიცოდეთ და სამზღვარი, სადაც თავდება ანგარიში და კუწურახობა იწყება. ამ სამზღვარს თუ გადავაბიჯეთ

ოამრო

(გუშდნი ოამრო ალ. ბახვახოვის ქალს.)

ჯერ კიდევ ღამის ნამები
მფინა დედა-მიწასა,
როცა ოამარო მიჰყავდა
ბაღში ერთ დილით ბიძასა.

ბაღის კიდეში შენიშნა
ყმაწვილმა ვარდი გაშლილი,
ბიძას გაუსხლტა, მივარდა
ბუჩქთან და იწყო ძახილი:

«ჩემი ვარდები გაშლილან,
ნუ მომიკვდება დედაო,
და ყელი გადაუჭდიათ
ერთი-ერთმანეთზედაო.

მარგალიტივით ცვარები
დასხურებიათ თავსაო,
ოვალი ვერ ნახავს ამათზედ
უკეთესს სანახავსაო...

ბიძავ, ნუ თუ მისთანა
წამალი არსად არიო,
რომ მისგან დარჩეს ყვავილი
სამუდმოდ დაუმჭკნარიო?»

ბიძამ მიუგო: «ოამარო!
ვერ მოგცემ დასტურს პასუხსო:
წინეთ მილხენდა მეც გული
და ახლა კი სტირს და სწუხსო.

ბუნების წესის დამრღვევი
ძალა ვერ ჰპოვეს ჯერაო,
და ვერც შემდეგში ჰპოვებენ,
ეს დარწმუნებით მჯერაო.

დღეს რომ გაშლილა, ხვალისთვის
დასჭკნება ეგვე ვარდიო:
ადამიანთაც მაგ რიგად
აჭკნობსთ მსოფლიო დარდიო.

ჯერ შენც ვარდი ხარ, ილხინე
უფიქროდ, უზრუნველადო,
მინამ ბუნების კანონი
არ გადმოგხედავს მწველადო!»

ოავი ჩაჰკიდა ბიძიამ
და კვლავ მიეცა ფიქრებსა,
და გაბუტული ოამაროც
ამოეფარა ბუჩქებსა.

იმეორებდა ყმაწვილი:
ძიას მე ვკითხე ვარდზეო
და ის კი მწარედ მიამბობს
რაღაც «მსოფლიო» დარდზეო.

ნეტავ რა არის მისთანა
ეს რაღაც «წესი», «რიგიო»,
რომ გასაგებად ამაზედ
არ მეუბნება იგიო?

ცახელი.

ქ. თელავი.

საკვირაო თეატრონი

ოთხი პასუხი ჩემს ფილოსოფოს-მეგობარს.—მწყემსთ-მთავარი კინალამ მოგვაგლიჯეს გულიდამ.—მარტო ქელბაქიანია მკვლელი?—ლათინური Jus'ი «ვაი-ოიდ» გადაგვექცევა.—და მშეული „ივერია“ და „ნობათის“ ორი ნომერი წლის ბოლოში.—მასწავლებელები სკოლაში და შტუტგარტელი პედაგოგი ახალი სტუდენტის ბონოლოგი ტილიპუჭარისას. — Не давши слово, держись, а давши слово, крѣпись და ძაღლსა სცემდენ, რძალს ასმენდენ.—ლიკურგის კანონი ივარგებს ჩვენში?—«ფხუ»-ზე ხა, ხა, ხა, ხა.—ქართველის მონოლოგი შემდეგ.

ბუშინ ჩამოვედი თბილისში და შარშანდელი არ იყოს, წელსაც გამიმართა ფილოსოფიური საუბარი ჩემმა ცხრა მთიდამ მოსულმა მეგობარმა: მე მეგონა ტეინი გაეყინებოდა ამდენ ხანს ყინულეთში მყოფობის გამო და მან კი ისეთ-ისეთი კითხვები მომახვია თავს, რომ, თუმცა ამ გვარებში მე თავხედი გახლავარ, მაგრამ კინალამ უკან დავიხიე: სხვათა შორის პირველად ეს ორი კითხვა მომცა: აბა ძმაო, ს. რა გააკეთეთ ამ წელიწადში საზოგადოებისათვის ან შენ, ან სხვებმა, რომელთაც თავი მოგაქვთ და ყოყოჩობთ, ვითომ ჩვენი საზოგადოებისათვის ილვწით? ან შენი პირადი საქმეები როგორ მიმდინარეობენ? ჩემი პირადი საქმე ვუთხარ მე არაფინ იცის და, შეიძლება, ორიოდე კუდიანმაც იცოდეს, რადგან ამ წელიწადში ქუდიანეთში ვიმოგზაურე-მეთქი და თუ საჭიროებამ მოითხოვა, ამათ მხოლოდ მაშინ გამოვაქვეყნებ, როცა საზოგადო საინტერესოდ შეიქმნება და რაიცა ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ და საზოგადოებას შეეხება, ახლავე მოგახსენებ ორიოდე სიტყვით, რავდენადაც დრო და გარემოება ნებას მოგვცემს-მეთქი და დავიწყე:

ა) ერთს საუკეთესო დიდებულს მწყემს-მთავარს გვაგლეჯდენ იმ გულიდამ, რომელზედაც ამ დაუღალავს კეთილთა მთესველს, ოც-და ხუთი წელიწადია აგერ, კეთილი სიტყვისა და მაგალითის მეტი არ დაუთესია, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩემო მეგობარო, რომ კეთილი თესლი ყოველთვის ნაყოფიერს მიწაზე არ დაეცემა. ჩვენს საქართველოს ნიადაგზედ აღმოჩნდა ისეთი კლდოვანი ალაგი, რომელსაც უკულმა შეერგო საღმრთო მოძღვარის ნამოძღვარი და იუდასავით უპირებდენ მას ამ ქვეყნის გამოთხოვებას გულ-ღვარძლიანნი და გულ-კლდოვანები.

ბ) ერთი ამ მწყემსთა-მთავრის შოსამსახურე და ჩვენი მეგობარი, შუადღეზე შესწირეს იმ ალ[illegible]ს.

და კუწურახობაში ფეხი ჩაედგით, საზიზღარნი შევიქნებით და თუ იქამდის არ მივალწიეთ, სადაც ანგარიში იწყება, იქნება ამ ას წელიწადზე, მკითხველო, ჩემი და შენი მოადგილე ერთმანეთს რუსთველის ენით აღარც-კი ესაუბრებოდენ...

შინაური ქრონიკა

ᲐᲐᲐ ᲩᲕᲔᲜ გვატყობინებენ, რომ მანგლისის ტყეს ცხრა დღე იქნება, რაც ცეცხლი მოჰკიდებია, მაგრამ ჯერ ყურადღება არავის მიუქცევიაო. ცეცხლი თავადს Თარხნიშვილების მამულში გაჩენილა და მით უფრო მალე მიშველება ეჭირება, რომ ტყე ფიჭვისა არის და ეს გარემოება ხელს უწყობს ცეცხლის გაძლიერებასა.

Ჯერ თურმე მარტო ერთს ადგილას იყო ცეცხლი და ეხლა ოთხს ადგილას გაჩენილა; რამდენსაც მეტს დააგვიანებენ და გაქრობას მალე არ ეცდებიან, მით შემდეგში შველა უფრო საძნელო შეიქნებაო.

Ვგონებთ, კავკასიის ზოგიერთმა ადგილებმა დაგვიმტკიცეს, რა გაჭირვებაც მოსდევს ტყის გაჩანაგებას და წარსულის მაგალითით მაინც უნდა შევჩვეულიყავით, რომ ამისთანა უსიამოვნო და საზარალო შემთხვევას მალე მიშველება უნდა.

ᲐᲐᲐ ᲓᲦᲔ არ გავა, რომ ცხენის რკინის გზის კონდუქტორებზედ საჩივარი არ გავიგონოთ, მათს უზრდელობას სამზღვარი აღარა აქეს. ᲑᲣᲨᲘᲜᲐᲪ, ვერის ხიდის მახლობლად, ერთს ქალს Თამამშოვის ქარავასლიდგან მუშტაიდამდის ერთიანი ბილეთი აღლო. ᲒᲖᲐᲨᲘ, სადაც ეაგონები იცვლება, მეორე კონდუქტორს ყველასთვის მოეხია ბილეთები და სხვათა შორის ქალისათვისაც მიემართა. ᲫᲐᲚᲡ გამოეცხადებინა რომ მუშტაიდამდისა მაქვს ბილეთიო; ამ სიტყვებს თავისდავიწყებამდის მიეყვანა კონდუქტორი და ქალისთვის სიტყვით შეურაცხყოფა მიეყენებინა. ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲘᲡ მიზეზად ის მოჰყვანდა თურმე, რომ ვითომც ქალი მოვალე ყოფილიყოს, მუშტაიდამდის ბილეთის ყიდვა წინადვე გამოეცხადებინა და ამ უსამართლო მოთხოვნას უმატებდა თურმე: «ეხლა ბილეთი მოვხიე, კონტროლიორი შემიმოწმებს ბილეთების წიგნსა და ბილეთის ფასი მე გადამხდებაო!»

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ რამდენიმე მგზავრი ყმაწვილის კაცის გამოსარჩლებამ დაიხსნა უპატრონო ქალი უარესის შეურაცხყოფისგან და მოსპო კონდუქტორის უშვერი ლანძღვა-გინება.

ᲐᲛ გზის მმართველობა ვგონებთ შემოსავალს ვერ დაემდურება, და იმაზედ მაინც იზრუნოს, რომ მისნი მოსამსახურენი ზრდილობიანად მოეპყრენ ამ გზის მსაზრდოებელს პუბლიკას.

ᲐᲐᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ დადებულია, რომ მოვაჭრემ დაბეჭდილი ოდკის ბოჩკა ვერ გახსნას დაუსწრებლად აქციზის მოხელისა. Ეს წესი ბევრს სოფელში ვაჭრებს მეტის-მეტად აბრკოლებს, რადგან აქციზის მოხელეს ხშირად რამდენიმე კვირაობით უნდა უცადონ.

სადა სუყდარი, ზნეობის ბურჯი.
ამაუად იდგა ბაგრატის დროსა,
მაგრამ ასდა კი დაღრღნილი კირი
და სისხლი მოწმობს მტარვალთა ომსა.

ᲐᲛ კაცის მკვლელად ასახელებენ ვილაც ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲡ, რომელსაც მართლმსაჯულებამ ხელი ჩაავლო, მაგრამ ჩვენ, მთელს საზოგადოებას გვიკვირს, რატომ სხვა გზას არ დაადგა გამომძიებელი და მარტო ამ ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲡ ჩამოეკიდა!! Და გვიკვირს აი, რატომ? Თვით მკვლელს არაფერი არც მტრული და არც მოყვრული დამოკიდებულება არა ჰქონია განსვენებულთან. Და თუ ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ მკვლელია, იგი მოსყიდულია სხვისაგან და მოსყიდულია ძვირად. Აი ამ კვალს დაადგეს გამომძიებელი, თორემ საზოგადოების თვალში სამართალი იურიდიულ კაზუისტიკად და სკეპტიურ სოფიზმად იქცევა და ჩვენში ეს ლათინური (Jus-ი) იუსი, ქართულ «ვაი», «უიდ» გარდაიქცევა. Ასე ფიქრობს საზოგადოების მრთელი გონება და ბუნებითი ლოღიკა. მე რომ ვინმე შემომაკვდეს ხელში, ყოველი კაცი იმას იტყვის, რომ მოკლულთან მკვლელს რაიმე დამოკიდებულება ჰქონია, მოკლულს შეურაცხება მიუყენებია, მასაც ვერ მოუთმენია და მოუკლავსო, ანა და სხვისაგან მიგზავნილი ყოფილაო. Პირ-და-პირ ამ ორ კითხვას გამოუდგება, ჩემო მეგობარო, ყოველიე თავ-მთელი გამომძიებელი. «Მართალიაო» მითხრა მოუბარმა, «მე იურიდიულ ფაკულტეტზე ვარ და ჩემთვის რომ მოენდოთ ეგ საქმე, მეც ასე მოვიქცეოდიო».

Ბ) ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲖᲔ ის უნდა გითხრა, რომ ჯერ არ გვახსოვს, რომ რომელიმე მათგანი თავის დროზე გამოსულიყოს რედაქციებიდამ. «ᲘᲕᲔᲠᲘᲐ» ამ თვის დამლევამდის დამშეული იყო, იქ მხოლოდ ერთი შინაური მიმოხილვა გამოერია, კუდიანი ვარსკვლავივით, რომელიც სწორედ რომ კლასიკური რამ არის; ეგებ შენც წაკითხული გაქვს, და ამ დღეებში მექნება საუბარი როგორც ამ წერილზე, აგრეთვე პედაგოგიურს მოსაზრებაზე და «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» უკანასკნელს ნომრებზედაც. Პედაგოგიურ ჟურნალზე არას მოგახსენებ: ისე შენს მტერს დღე ელევა, როგორც მისი დღე ითენებოდეს. Ამ გვარს ჟურნალს მნიშვნელობიც მაშინ აქვს და სარგებლობაც მაშინ მოაქვს, როცა მოსწავლენი, მასწავლებელნი და მშობელნი სწავლა-სწავლებას ადგანან; თორემ როცა გონების მოსვენების დროა, მაშინ გონება კი არა, კუჭიც უარს იტყვის, თუნდ ბლამანჟეს «ნობათიც» მიუტანო. Ამ ჟურნალს კი ასე დასჩემდა: ერთი რომ სამოქალაქო წლის დამლევს გამოვა, მეორე აკადემიური წლის ბოლოს «გამოხოხორიკდება».

Ბაზეთი «ᲗᲔᲐᲢᲠᲘ» ხომ შენც წაიკითხე, და მისას არას მოგახსენებ, გარდა იმისა, რომ გზა დაეულოცოთ ორივემ. Მარშლები ხომ ჩვენისთანა დუნიაზე არავისა ჰყავს და ხომ გაიგონე, როგორ აღტაცებით მიეგებენ მათ. Უტყვნი იტყოდიან, ყრუნი ისმენდიან, ბრმანი ხედვიდიან და თუ კიდევ არაფერი გამოვიდა, ღმერთმა შენს მტერს გაგონოს!

Დ) ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲖᲔ წელს ვერას მოგახსენებ გარდა იმისა, რომ Იმერეთში გაიხსნა ერთი სკოლა, რომელსაც მუდამ ქალები ჰყავს მასწავლებლად და კაცები კი მზრუნველებად. Პირველ მასწავლებელ ქალზე «ᲕᲔᲤᲮᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ» ეს ორი სტრიქონი მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა:

მას ᲣᲛᲐᲡᲐ თავი არ მისცა,
ᲨᲕᲠᲔᲢᲐᲓᲪᲐ ᲔᲑᲘᲚᲬᲔᲑᲝᲓᲐ,
ᲒᲘᲗᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲡ
ᲥᲕᲔᲨᲘ ᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲙᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ.

Და მეორემ წასვლისას ასე დაიბარაო:

თუ არ დაᲒᲑᲠᲣᲜᲓᲔ, საᲫᲔᲑᲠᲐᲓ
დაᲕᲣᲕᲜᲔ სხვანიცა ხანნი,
რომელსა ᲒᲔᲫᲔ, ᲕᲔᲠᲐ ᲕᲡᲪᲜᲐ
ᲐᲛᲑᲐᲕᲜᲘ ᲛᲔ ᲛᲘᲡᲗᲐᲜᲜᲘ.

«ᲰᲝ» მართლა, მაეიწყდებოდა, შარშან რომ Შტუტგარტელი პედაგოგი 13½ განყოფილებიანს სასწავლებელს თხოულობდა, წელს 21½-იანი მოუთხოვია და რომ ყმაწვილებმა გარედ გასვლის დროს უბრალოდ დრო ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ საქმე დამართნია მაგალითად, ერთს ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ მოვაჭრეს, ესე იგი იმისთანა დაბისას, სადაც რკინის გზა გადის და სიცოცხლე, სხვა დაბებთან შედარებით, დუღს და გადმოდის—და გვთხოვს მივაქციოთ ამ საგანზედ აქციზის მოხელეების ყურადღება.

Წვრილი საქმეა, მაგრამ ხშირად წვრილს საქმეზედ უყურადღებობით დიდი საქმეც შეიძლება წახდეს.

ᲐᲐᲐ ᲫᲘᲓᲔᲕ სამდურავი ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲓᲐᲛ... სამდურავი იმ ულმერთო მწონავებზედ, რომელთაც თავიანთ სპეციალურ საგნად შავი-ქვის წონვა გაუხდიათ; წონვა კი არა, იმ საბრალოთა მოტყუება, რომელნიც შავი-ქვის მადნის გზას მუდამ ფეხითა სთელავენ, ათას გვარ გაჭირებას ითმენენ და ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ რომ ჩამოდიან, სიშავით ჭვარტლიან ბუხარში ამომძვრალებსა ჰგვანან.

ᲭᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲑᲘ დაუყენებიათ მწონავების უწესო მოქმედებაზედ თვალ-ყურის დასაჭერად, მაგრამ ეშინიანთ იმისთანა საქმე არ დაემართოთ, რა საქმეც სიბრძნე-სიცრუის ზღაპარში ქურდი მემარნისადმი ზედამხედველის მიმჩენელ მებატონეს დაემართა.

ᲐᲐᲐ ᲗᲝᲠᲘᲡ თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ძის ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ გარდაცვალების გამო, მაზრის წინამძღოლად იქნება პირველი კანდიდატი ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძე ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲐᲐᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲙᲕᲙᲕᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, რომელიც ჯერ არავისა სჯერდა და ᲕᲒᲔᲚᲘᲡ სიცრუეე ეგონა; მაგრამ ᲐᲮᲚᲐᲠᲔ ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ გავიდა და ეს უსაფუძვლო ხმა საფუძვლიან ხმად გადაიქცა. აი რაში იყო საქმე: ამ წლის გაზაფხულზედ ბარონიკ, ტიმბირში გაგზავნეს დასასახლებლად და კავკასიაში დასტოვა ობლად ცოლი და ერთი 14-15 წლის შვილი ბირველის ცოლისაგან. ბავშვმა განიზრახა მამასი.ან წასვლა და ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲒᲘᲓᲔᲦ, რომელსაც ტოტოდენი ფული იშოვა. ივნისის შუა რიცხვებში ბავშვი კავკავში მოვიდა. ამ დროს პოლიციამ გაიგო, რომ იგი გამოქცეული იყო და საქმის გამოაშკარავებამდის პოლიციაში დაიჭირეს. მისი დატუსაღების დღეს პოლიციაში დეჟურნად იყო პრისტავი ა., რომელსაც ბავშვი იმ ოთახში-კი არ გაეგზავნა, სადაც დამნაშავეებს ამწყვდევენ, დეჟურნელების ოთახში დაეტოვებინა. მეორე თუ მესამე დღეს ბავშვმა გამოაცხადა, რომ დატუსაღების დროს პრისტავმა ჩემზედ საზიზღარი ძალადობა იხმარაო. ეს ამბავი მაშინვე მთელს ქალაქს მოედო... ექიმებმა შეამოწმეს ბავშვი, გამოძიებას მაშინვე შეუდგენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ვიცით თუ რა აღმოჩინა გამოძიებამ. ბავშვი, რომელიც აქამდის აგდილობრივს ტიხაში იჯდა, ახლა თბილისში გაგზავნეს ეტაპით. („Сѣверный Кавказъ“).

ᲐᲐᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲡᲐ და ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ შუა გაუკეთებიათ გზას 17 სტანციის ექსპა. რკინის გზა წავა ფოსტის დიდს გზაზედ, რომელიც კავკავიდამ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡᲙᲔᲜ მიდის და გაივლის 192 ½ ვერსტს თერგის მიდამოზედ და 55 დაღისტანზედ.

ᲐᲐᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Новое Обозрѣніе“-ს

ᲐᲠ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲝᲜ, ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ თურმე, საჭიროების ალაგიც საჯდომ სტოლებში მოაწყონო. Ამ სიტყვებზე ისეთი «ფხუ» შემოსძახა ჩემმა მეგობარმა, რომ ერთი ჩემი ნაცნობი «ბარიშნა» გამახსენდა და მეც შევსწყვიტე უბნობა. Ახლა ის აპირებდა—მაგრამ მე ჯავრი მომივიდა და ᲤᲘᲚᲘᲞᲣᲞᲣᲠᲘᲡᲙᲔᲜ წავიყვანე, ეგებ თავისებურად ფილოსოფიას არ გამოუდგესმეთქი, მაგრამ აქაური საუზმის შემდეგ ფილოსოფიას პოეზიაც მოემატა და ᲰᲔᲠᲘ ᲑᲘᲭᲝ, დაიწყო ჩემმა უნივერსიტეტის ფილოსოფოსმა:

— ᲘᲪᲘ Ს., რუსები იტყვიან, **не давши слово, держись, а давши слово, крѣпись?** Ეს დეევიზი უნდა ჰქონდეს ყოველს მოქალაქეს, როცა იგი მოქალაქობრივს ასაკში შევა. Თუ ეგ მოქალაქე (ქალია, თუ ვაჟი) ავადმყოფი არ არის და სრულს გონებაზეა, ყოველს მისს მოქმედებას, შეიძლება, ანგარიში მოეთხოვოს. ᲧᲝᲕᲔᲚᲡ მისს პირობას და აღთქმას კანონი, საზოგადოება და კერძო პირიმიიღებს ისე, როგორც სანდო ფაკტს და როცა იგი შესცვლის აღიარებულს, დაადგებს აღნათქვამს და ვეღარ შეასრულებს პირობას, საზოგადოება გამოიკვლევს და თუ აღმოჩნდა, რომ აღთქმა-პირობის აღუსრულებლობა ხსენებული პირის დაუდევრობა, პირადი ინტერესი, ანუ მისი გარყვნილი გრძნობა-გონება იყო,

ელისაგეტოშოლიდამ შემდეგს ამბავსა სწერენ ქიარიმაზედ: „ივლისის 13-ს, საღამოზედ, ხმა გავარდა ელისაგეტოშოლში, რომ ქიარიმა ქალაქის ქუჩებში დაიარებაო. ცნობები შეჰკრიბეს და გამოდგა, რომ ამ დღეს დილით სუთს ჩაუარს ქიარიმა მართლა შესვედროდა სოფ. ზურბადის ახლო, ჭალაქზედ შვიდი ვერსის სიშორეზედ. ქიარიმას თან შვიდი კაცი ჰყოლოდა და ისე დამშვიდებული მიდიოდა თურმე, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო, ჩაურეუბისთვის უურადღებაც არ მიუქცევია. ვერც ჩაურეს გაებედნა ქიარიმის გამოდგომა. ეს ამბავი მაშინვე ჯენტლმენში შეატყობინეს, საიდამაც მაზრის უფროსი ეანჩელი წავიდა ეაჩაღების სადევნელად. ხმა დადის, ვითომ ქიარიმას უნდოდეს ჯენტლმენს თავს დაესხას, რადგანაც ზუსტლობით ამ სოფელში ორიან სოლმე საგუბერნიო დაწესებულებანი.

«დროების» კორესპონდენცია

—

იმერეთი. ივლისის 15-ს. რა რომ გადმოსცილდები, საყვარელო მკითხველო, ლიხის მთას, რაღაც სხვანაირი ჰაერი გარშემოგიცავს. მგონია, რომ მორე-ახლო ვისმეს სველი ღრუბელი ხელში უჭირავს და ხან-დის-ხან ჰსწურავს ხახის გასასველებლადაო. რამდენიც დაუახლოვდები რიონის პირს, იმდენად უფრო გრძნობ ამ სინოტიეს. მაგრამ წელს სინოტიეზეც გვალვას ვერ მოსტეხა კბილი.

მართლაც საშინელი გვალვა იყო მთელს იმერეთში. სიცხემ, განსაკუთრებით ალაგ-ალაგ, კაციც და პირუტ-

---

საზოგადოება და კერძო პირნი დაემდურებიან და ლიტერატურა გაჰკიცხავს მას, როგორც მატყუარა და გაიძერას. ამ პრინციპით უნდა ხელთმძღვანელობდეს ყოველი მოქალაქე, ყოველს ასპარეზზე მოსამსახურე პირი. ამ საფუძველზე უნდა იდგეს ამხანაგთა შორის დამოკიდებულება. ამის დარღვევისა უნდა ეშინოდეს მასწავლებელს,—მღვდელს, ჩინოვნიკს, ადვოკატს, მშობელს, შვილს და ოჯახის წევრს, ცოლსა და ქმარს. იმ საზოგადოებაში, საცა ეს პრინციპი უარყოფილია, ძაღლი პატრონს ვერარ ცნობილობს, იქ სანდო აღარაფერი არ არის, იქ შენი ცოლისა და საცოლეს კოცნა-ალერსიაც ეჭვი უნდა გქონდეს, გულითადი მეგობრის კოცნის ნაცვლად, შეიძლება, იუდას ამბორება იყოს. ამ გვარი საზოგადოების წევრთა შორის დამოკიდებულება დიაცი-როსკიპის ხვევნა-კოცნას უნდა ჰგავდეს; დიაცი მოგვალერსა, ტკბილი სიტყვა გითხრა, გაკოცა და გაკოცნინა მიტომ, რომ მაშინ ეგრე სჯობდა მისთვის; მერმე ის გული რომელიც შენთვის ღია ჰქონდა, მეორეს გაუშალა, მერმე მესამეს, შემდეგ მეოთხეს და ასე ამ ნაირად გაჰყვა თავის ენებას იქით, საითაც მისი გარყვნილი ბუნება მოითხოვდა.

ასეთია სწორედ ის საზოგადოების რჩეული, ანუ ნდობილი პირი, რომელიც საზოგადოების საქმეს იკისრებს

ყვიც შეაწუხა. შეწუხებული ხალხი მსხვერპლის შეწირვით ეეედრებოდა ცას წვიმის გამოგზავნას და ივნისის 30 შეიკუმშა ცა, დაიძრა ღრუბლები და მოსცა დედამიწას განმაცოცხლებელი წვიმა. თავისუფლად აღმოისუნთქა კაცმა და პირუტყვმა. მოსავალი ერთი-ორად გაუმჯობესდა და ყურძენსაც ხელი შეუწყო ცის ცვარმა.

დაუახლოვდებით სოფლებს თუ არა, «გამარჯვების» შემდეგ გკითხავენ: ახალი ამბები რა იცით? თუ პასუხი დაუგვიანეთ,—იმერელი ვეღარ მოითმენს და თვითონვე იწყებს ძველ და ახალ ამბებს

— გაიგებდით, გეუბნებათ იგი, რომ ჩვენი ეპისკოპოზის მდივანი ს. მჭედლიძე მოჰკლეს.

— რისთვის.

— აი ბატონო, რისთვის; თუმცა ცხონებული «ძალიან» სწავლული ვაჟი იყო, მაგრამ საშინელი უკადრისი კი იყო. მაინც, ბატონო, ამ ბოლო დროს «სეკლატრობა» რომ ჩაიგდო ხელში, სულ გადიდკაცდა. სულ ამას ამბობდა და სწერდა თავადი, აზნაური და გლეხი ერთი არისო? ბანა ეს ეკადრება თავად-აზნაურობას ვინმე მღვდლისშვილისაგან? ღმერთო კი მომკალი. იმ ცხონებულისათვის ათი «ზრასტი» რომ გეთქვა, თვითონ ერთსაც არ გეტყოდა. სწორედ ცა ქუდად არ მიაჩნდა და მიწა ქალამნად, ამ ბოლო დროს ერთი შემთხვევა მოუხდა: ვინმე მ—თ—დ—კ—ონს საქმე ჰქონია მასთან და შრომის საფასად 25 მანათი მიურთმევია. იმას განგებ ფული ჩა-

---

და ისე მიჰმართავს მას, როგორც მისი სუსტი ბუნება მოითხოვს, როგორც მისი სუსტი ჭკუა ურჩევს ამას ისა სჯობს, რომ კაცმა სრულიად არ იკისროს რომელიმე საქმე, თუ მისი გაკეთება არ შეუძლია.

მაშ რას დავამზგავსოთ ის ახალგაზდა კაცი, ან ქალი, რომელიც მთელ ამხანაგთა წრეში აღვიარებდა,—საზოგადოების სასარგებლოდ და კეთილი საქმისათვის გუდა-აკიდებული და ფეხშველი თუნდ სოფელ-სოფელ ვიელიო, ამ აღთქმას ხატსა და ჯვარზე ფიცით და პატიოსანი სინიდისის მოწმობით ამტკიცებდა და ახლა კი სპარსულ განცხრომაშია თავის დულცინეიასთან? შერცხვეს ის დულცინეიაც, რომელიც კაცობაზე ხელს აგაღებინებს. მაშ რას მივამზგავსოთ ის საზოგადოებისაგან ან მმართებლობისაგან აღრჩეული პირი, რომელიც ვიდრე მათგან ყურადღებას დაიმსახურებდა დაოსტატებული გასათხოვარი ქალივით ეალერსებოდა ორიეს და, როცა აღირჩიეს და საქმე ჩაბარეს, იქით გადასწონა სინიდისის სასწორმა, საითაც მისი გარყვნილი ბუნება მიისწრაფოდა? მაშ რას დავამზგავსოთ ისეთი ლიტერატორი ან ჟურნალისტი, რომელიც ამ საუკეთესო გონების იარაღს ხელს მოჰკიდებს და იქით მიჰმართავს მას, საითაც მდაბალსულოვნობა და უზნეო ინსტინქტები მიისწრაფიან, და არა წინააღმდეგ?

მოურთმევია და ეპისკოპოსთან წაუყვანია, ვითომც საქმის გასაკეთებლად. ეპისკოპოსთან რომ შესულან, ამოუღია ეს ფული და უთქვამს მისთვის: «აი ეს ფული მე ამან მომიტანა ქრთამად და, რასაკვირველია, არ მივიღე. ალბად, ჩემნი წინაპარნი უარს არ ჰყოფდენ ქრთამს, რომ მეც ჩვეულებისამებრ მომიტანეს.» წარმოიდგინეთ, რა ცეცხლში «დადაგა» ის კაცი!

— მაშ ქრთამი უნდა მიეღო? ეკითხავ მე.

— რატომ არა, თუ კი საქმეს გაუკეთებდა და თუ არა-უკან უნდა დაებრუნებინა. ეს კიდევ არაფერი. ანცელიარიიდგან გამორეკა მოსამსახურე პირნი.

— ეგ რაღათ ჰქმნა?

— ესეც უხეიროობით მოუვიდა.

— მაინც როგორ?

— როგორ და მექრთამეები არიანო.

— ძრიელ კარგად უქმნია, თუ კი ამისთვის დაუთხოვნია.

— როგორ თუ კარგად? ბანა «პისეცმა» რომ ხუთ მანეთს ჩამორჩეს თავის «სლუჟბას» თვეში დიდი ცოდვაა! ქარგი პასუხია!?..

—

თუმცა აშკარა ქურდობა და ავაზაკობა შემცირდა ეხლა ჩვენში, მაგრამ სამაგიეროდ ეშმაკობა გავრცელდა. მოპარვის მაგივრად ცხენს ან სხვა საქონელს გარეკენ შორს სოფლებში; პატრონი ეძებს, მაგრამ ვერ ჰპოულობს, დახელოვნებული ვაჟ-ბატონები ეუბნებიან პატრონს, რომ იმათ შეუძლიანთ დაკარგული საქონელი იპოვონ, თუ პატრონი მესამედს ფასს

არა, ჩემის აზრით, არა თუ საზოგადოების მოთავე და მოსამსახურე კაცს, არამედ ისე უბრალო მოქალაქესაც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში ცხოვრების უფლება, როცა ის უსარგებლო ბარგია?

— «უჰ! ძაან გაუტიე, ჩემო ფილოსოფოსო», მეთქი, მაგრამ მან მაგალითზე მიმითითა:

— აი, საბერძნეთი. რა მშვენიერი კანონი ჰქონდათ! არ ეარგოდა ქალი, ან კაცი, იყო მახინჯი და საზოგადოებისათვის გამოუდეგარი, აიყვანდენ ტარპეის კლდის წვერზე და თვალუწვდენელ ჯურღმულში გადააგდებდენ ყვავ-ყორანისა და მგლების სარჩოდ. ამის გამო ხშირად ეგ მხეცები აღარ აწუხებდენ საქონლის ფარეხებს და სათხებო-საღორეებს და ესეც კარგი სარგებლობა იყო. მაშინ სპარტის მოქალაქენი ფრიდრიხის სალდათებივით იყვნენ დარჩეულნი. მაშინ უფრო ფიზიკურს სიმთელეზე იყო ყური მიპყრობილი და ახლა, მეცხრამეტე საუკუნეში, ზნეობითს აგებულებას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება, რომ გაიწმინდოს ჩვენი საზოგადოება. ეგ მამა-ცხონებული დიპლომატები ომიანობას რომ ეამოუდგებიან მაშინვე, როცა ბაზარში პური გაძვირდება და «ბირჟის კურდღლები» ფარის კურსს აატოკებენ და დასცემენ, ის არა სჯობდა ლიკურგის კოდექსიდგან ესესხებიათ მახინჯთა საცელავი მუხლი!

ჯიდევ აპირებდა განეგრძო, მაგრამ მისი «ფხუს» ნაცვლად ისეთი ქაჯური «ხა ხა, ხა ხა»... წამომვარდა პირიდამ, რომ ტილიპუჭურაც კი გამოვარდა თავის ბუნაგიდამ.

— არა, ეუთხარი მე, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ასეთი ველური აზრი როგორ წარმოთქვას კაცმა, მეთქი. შენებურად რომ საქმე მოეწყოს, სად ეიშოვოთ ისეთი ჯურღმული, რომ ამოდენი უსაქმო ხალხი გადაეყაროთ—ერთი ეს და მეორე—ამდენი ქალები ხომ უქმრო დარჩებოდენ, ამდენი ვაჟები უცოლო, ამდენი დედ-მამა შვილებს დაჰკარგავდენ, ამდენი კანცელარიები ხომ დაიცლებოდენ და ჯამაგირებს ვიღა მიიღებდა მაშინ! აი, თუნდ ამ ჩვენ ტილიპუჭურას სადღა ეყოლებოდა მუშტარი? ამ სიტყვებზე ერთი ისეთი შემომიბღვირა, რომ კინაღამ თვალით გამწყვიტა.

— «რას იბღვირები? აი, ენახოთ, გაისათ ჩამობრძანდები და ნახავ, თუ ისე მოიქცევი, როგორც შენს პლანში აგილია» «მე? მე? მე?»... და ჯიდევ აპირებდა, მაგრამ ჩვენი ყურადღება უეცრად მიიქცია ერთი ქართველის ზღაპარმა, რომლითაც «ცხოვრების» განსაზღვრას აპირებდა საესე სუფრის წინ. ახლა ამით გაეათავოთ და შემდეგს კვირას ამ ზღაპარს მოგახსენებთ.

ს. ყ—ნი.

რუსეთი

ერთს პოლკოვნიკს შეუდგენია წიგნი «ხოლერის ენციკლოპედია», რომელშიაც ჩაწერილია, რაც-კი რამ რჩევა წარმოთქმულა ხოლერის ასაცრელად 1831 წლიდამ დღემდე. ამ წიგნში 3000-მდე ამ გვარი რჩევაა, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ერთი რჩევა ძალიან ხშირად მეორეს ეწინააღმდეგება. მაგალითად 372 რჩევის თანახმად ხილი მეტის-მეტად მაენებელია ხოლერის დროს; 248 რჩევის თანახმად არც ენება შეუძლიან, არც რგება და 29 კი პირ-და-პირ ურჩევს ხილის ჭამას, რომ «ხოლერის დროს კუჭი კარგად იქმნას შენახულიო.»

რასაკვირველია, ბევრი ამ ერთი

ერთმანეთის წინააღმდეგი რჩევათაგანი წარმოთქმულია იმისთანა ექიმებისაგან, რომელნიც თავის დროზედ მეცნიერების ვარსკვლავად ითვლებოდენ.

—

რუსეთში სოფლის საზოგადოება თითონ ანაწილებს, როგორც სასოფლო მიწებს თავის მწევრთა შორის, ისე სახელმწიფო გადასახადს, რომელზედაც ურთიერთის თავდებობით აგებს პასუხს. ეხლა განუზრახავთ ამ წესის შეცვლა და ურთიერთ შორის თავდებობის მოსპობა. გაზეთს «რუსკია ვედომოსტს» ეს მავნებლად მიაჩნია, რადგან თავდებობის მოსპობა შეუძლებელია, თუ სასოფლო მიწის განაწილებაც ერთი-ერთმანეთის თანხმობით არ მოისპო. რაკი სოფელი ანაწილებს მიწას, იმასვე ადვილად შეუძლიან გარდასახადიც ამ მიწის კვალობაზედ გაანაწილოს და თუ ეს განაწილება უსამართლო იქნება, სოფლელნი ვერ შეიძლებენ ხარჯის გადახდას და მთელს სოფელს დააწვება კისერზეო. ამისათვის სოფელი ცდილობს განაწილება სამართლიანად მოახდინოს, რომ ხარჯიც თავისუფლად მოჰკრიფოსო.»

—

ნიჟნი-ნოვგოროდში, ანუ როგორც ჩვენები ეძახიან მაკარიაში იარმუკა დაწყებულა. ქასპიის ზღვის მხრიდამ მრავალი საქონელი მისულა კიდეც, განსაკუთრებით აზიის საქონელი, ბამბა, ხმელი ხილი, აგრეთვე თევზი, რკინა და სხვ. სომხები და სპარსელები ბევრნი არიან წრეულს ამ იარმუკაზეო.

უცხოეთი

ეხლა ხანს დაბრუნდა ინგლისში სუდანიდამ გამოჩენილი გენერალი უოლსლეი, რომელიც საუკეთესო ღენერალად ითვლება ინგლისის არმიაში და რომელსაც ინგლისის ხალხი დიდის ყოფით მიეგება. ამიტომ ყოველს მისგან წარმოთქმულს სიტყვას საკმაოდ დიდს მნიშვნელობას აძლევენ გაზეთები და ინგლისის სამხედრო წოდების ხმად მიაჩნიათ.

სხვათა შორის, აი რა უთქვამს ამ დღეებში, უოლსლეის ერთს შეკრებილებაში:

«მე არა მრწამს საზოგადო მშვიდობიანობის დამყარება. მხოლოდ ოცნებით გატაცებულნი თუ ვერა ჰხედავენ, რომ ევროპაში დიდის ომისათვის ემზადებიან და ყველა ხალხთა დაუცხრომელს შეიარაღებას საზეში აქვს სწორედ ეს მოსალოდნელი შემთხვევა, რომელიც ახლოც არის და აუცილებელიც. ჩვენზე ამბობენ, რომ ვითომ სამხედრო ხალხი არ ვიყოთ, მაგრამ ნამდვილად-კი სამხედრო საქმეში ჩვენ არავის არ ჩამოვურჩებით მთელს ქვეყანაში და არავისთან შედარებისა არ უნდა გვეფიქრებოდეს.»

—

ბამბეტას სიკვდილის შემდეგ, ოპორტუნისტების პარტიას, რომელსაც იგი მოთავეობდა, დიდი ძალა მოაკლდა. ამ ორატორის ადგილი საფრანგეთის პარლამენტში ძლემანსომ დაიჭირა. მაგრამ ამაში მკითხველი არ უნდა შესცდეს: ძლემანსო ოპორტუნისტების მეთაური-კი არ შეიქმნა, მან გამბეტას ადგილი თავის გავლენით დაიჭირა მთელს პარლამენტზე, თუმცა ეს გავლენა იმ ფასად დაუჯდა რა ფასადაც დაუჯდა გამბეტას თავის რადიკალობის შეცვლა ზომიერ რესპუბლიკელობაზედ. ძლემანსო ნიჭიერი ორატორია, რადიკალების მოთავე, მაგრამ თვით პარლამენტის უმეტესობა ნელ-ნელა იზიდავს მას, ზომიერობაში ადგმეინებს ფეხს და იქნება თავისთვისვე შეუმჩნეველად ოპორტუნისტად გარდაიქცეს, როდესაც თავი რადიკალი ეგონოს. ამას ამტკიცებს ის სიტყვა, რომელიც ბორდოში წარმოუთქვამს მას ოპორტუნისტების წინააღმდეგ:

საფრანგეთის გარეშე პოლიტიკაზე მას უთქვამს:

«არ დავმალავ, ჩვენ არა გვწადს გადახდა იარაღით ხელში (ეს პრუსიაზედ არის ნათქვამი); ჩვენ უნდა გადავუხადოთ მშვიდობიანობით, პროგრესით და რესპუბლიკურ დაწესებულებათა გაუმჯობესობით, რომელნიც თავიანთ ნათელს მთელს ქვეყანას მოჰფენენ და ყველას თვის წინაშე უნებურად თავს მოაბრეკინებენ» (გამბეტა არ გაგონდებათ?)—ალზას-ლორენი მერე? მიაძახა თურმე ხალხმა, მაგრამ ორატორს პასუხი არ მიუცია და განუგრძელებია სიტყვა: «თუ ამ აზრებს დავადგებით, მაშინ იმათ გავლენის ქვეშ აღარ ჩავცვივდებით, რომელნიც ეხლა ევროპის ბედს განაგებენ. ეს იმას-კი არა ნიშნავს, ვითომ განცალკევება გვსურდეს. არა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთა კავშირებს თავი დავანებოთ და სიფრთხილით ვიყოთ. ნუ ენდობით იმათ, რომელნიც გაჯერებენ, რომ ნუ დაზოგავთ ფულსა და სისხლს თქვენის სალდათებისას შორეულ ექსპედიციებზეო; გახსოვდეთ რომ თქვენ უნდა მისცეთ პასუხი საფრანგეთს იმ გვარ კითხვაზედ, რა კითხვითაც მომმართა მე ერთმა მოქალაქემ: «ალზას-ლორენი მერეო?» ჩვენ უნდა დავიცავთ ჩვენი ძლიერება და დამოუკიდებლობა ევროპაში; მათ დასამკვიდრებლად, მტკიცედ ფეხი მოვიკიდოთ ჩვენს მიწაზედ და ერთს მტკაველსაც ნურავის დავუთმობთ... მე მგონია მხოლოდ ორი პოლიტიკაა შესაძლებელი: პოლიტიკა წყნარი რეფორმებისა და პოლიტიკა მსწრაფლი რეფორმებისა. თუ მსწრაფლად წინ წასვლა ღალავს ქვეყანას,—მაშინ კონსერვატორებს უნდა ჩაუვარდეთ ხელში მისი მართვა და მათ იზრუნონ რეფორმების დანერგვისათვის. მაშ ორი პარტიაა მხოლოდ საჭირო: კონსერვატორებისა და პროგრესისტებისა. როცა ეს მოხდება და ორი პარტიის მეტი არ იქნება, რესპუბლიკაც მხოლოდ მაშინ განმტკიცდება.»

გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთისა და ინგლისის შორის მოლაპარაკებას ის მოჰყვა, რომ რუსეთი სთანხმდება ზულფიგარის მაგიერად სხვა ადგილი რამ აიღოსო. ზოგნი მერუჩაკს ასახელებენ. ზულფიგარის დათმობა ინგლისისათვის იმიტომ არის საძნელოო, რომ მან ფორმალურად აღუთქვა ემირს ამ ხეობის დაცვაო.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 19-ს.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკი გაანადგდებს კუპონებს, რომელთ ვადის მოსვლამდე ექვსს თვეზე მეტია დარჩენილი, 10%-ის გამორიცხვით, ხოლო იმ კუპონებს, რომელთ ვადის მოსვლამდე ექვსს თვეზე ნაკლებია—6%-ის გამორიცხვით. რასაკვირველია, ეს შეეხება იმ კუპონებს, რომლებშიაც სახელმწიფო ბანკი ნადდ ფულს იძლევა.

რამდენიმე ესკადრა გუშინ ჭრონშტადტიდამ ჭელსინგფორსში წავიდა, სადაც მაღე ეს ესკადრები ხელმწიფე იმპერატორმა უნდა დაეთვალიერა.

გამოცხადებულია წესი ფლოტის შტურმანებისა და ზღვის არტილერიის კორპუსის გაუქმებისა.

სტამბოლი. პორტას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს სახელმწიფოთა წინაშე, რომ ადმოსავლეთის რუმელიამ მეტი ხარჯი აძლიოს ტამოვნის შესოსავლიდამ.

სოფია. ტუოლია, ვითომც ბულგარიის მთავრის წინააღმდეგ დიდი შეთქმულობა ადმოჩინოთ.

ლონდონი. გუშინდელს ნადიმზედ ლორდ-მერთან, ლორდმა სალისბიურიმ იმედი გამოაცხადა, რომ იგი ნახავს რუსეთსა და ინგლისს, მეგობრებით გარშემორტყმულს, გვერდი-გვერდ მდგარს და ურთიერთის პატივის-მცემელთ.

ბომბეი. ბომბეის გაზეთი ამბობს, რომ ხმები დადის ვითომც ბრიტანიის ჯარს ეანდაარში და შენჯაბში გაგზავნას უშიროობდენო. აგრეთვე განზრახვა აქვთ მრავალი რქიანი საქონელი იყიდონ ჯარებისთვისაო.

ივლისის 20-ს.

პეტერბურგი. შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა ლოტროფმა ჩააბარა ხელმწიფე იმპერატორს თავის რწმუნების ქაღალდები.

სპარსეთის ელჩმა ხუთშაბათს მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცის წერილი შაჰისა და ოთხი შესაფერი ტანი საჩუქრად უძღვნა შაჰისაგან.

სახალხო განათლების მინისტრმა მიუწერა სწავლა-განათლების მზრუნველთ, რომ ამას იქათ საგეტერანაში ინსტიტუტის სტუდენტებად მიიღებოდეს მხოლოდ რეალური სასწავლებლის შეგირდები, რომელნიც დაასრულებენ სასწავლებელს, დაძალებითს კლასს და დიპლომებს შესამოწმებელს ეგზამენს ლათინური ენიდამ.

რადგან ხარკოვის საგეტერანარო ინსტიტუტის პირველ კურსზედ ბევრნი დარჩნენ, ამიტომ წრეულს ამ ინსტიტუტში ადარავინ მიიღება.

ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 19.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—$23^{15}/_{16}$ $23^{15}/_{16}$ $23^{13}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	— $202^{7}/_{8}$ $203^{5}/_{8}$ 204
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე —	—$251^{1}/_{8}$ $251^{5}/_{8}$ $251^{3}/_{4}$
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 31 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 30 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 32 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— — 99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— $97^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. მუ.
მეოთხე გამოც. —	— $97^{1}/_{4}$ მ. მუ.
მეხუთე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	— $95^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მეორე გამოც	— $95^{3}/_{4}$ მ. მუ.
მესამე გამოც. —	— 95 მ. 62 კ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	— $217^{3}/_{4}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$212^{1}/_{2}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— $173^{1}/_{2}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— — 43 წ. 88 მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამუ.
	43 წ. 89 მ. გამუ.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვისათვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-ოსუმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომსველელებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შვიდს წელიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვისტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვეს. (6—6)

Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.